პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და საქრევკომის ორგანო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა, დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაკეთა და გაყიდვა სწარმოებს საქართველოს ცენტრალური [illegible] განყოფილებაში, რუსთაველის ქ. № 4.

ტელეფონი №

№ 184 ხუთშაბათი, 13 ოქტომბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 13 ოქტომბერი, 1921 წ. № 184

13 ოქტომბერი
ხუთშაბათი

1919. ჩიკაგოს კონფერენციაზე ამერიკის სოციალისტური პარტია ორ ნაწილად გაიყო. მემარცხენე ნაწილმა შეადგინა კომუნისტური პარტია.

1849. პეტრაშევსკის პროცესი. სოციალისტური იდეების პროპაგანდისა და გოგოლისადმი ბელინსკის წერილის კითხვისათვის პეტრაშევსკის და მის მეგობრებს საკატორღო სამუშაო მიუსაჯეს.

დღიური

ინდოეთში რევოლიუციური [illegible] მოძრაობის მეთაურნი მოუწოდებენ [illegible] ყოველ ხელისუფლებს [illegible].

ბერლინში მუშა-მოსამსახურეთა გაფიცვამ მწვავე ხასიათი მიიღო: მოსალოდნელია საერთო გაფიცვა.

სახალხო მეურნეობის საბჭოთა ყრილობა

დასრულდა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოთა ყრილობა.

თანამედროვე მომენტში, როდესაც მშრომელი ხალხის უმთავრესი ყურადღება მიქცეულია სამეურნეო ფრონტისკენ, ამ ყრილობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აქ თავი მოიყარეს იმ მუშაკებმა, რომლებიც ექვსი თვის განმავლობაში ძნელ პირობათა დაძლევით ეწევიან საერთო ჭაპანს საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში. ყრილობის მიზანი იყო ანგარიში გაეწია წარსული ნამოქმედარისთვის და გაეთვალისწინებია უახლოესი სამოქმედო გეგმა.

რა გამოარკვია ყრილობამ?

სახალხო მეურნეობის ცენტრალურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა გულახდილათ და დაუფარავათ გადაშალეს სურათი იმ მეტის-მეტად ძნელი პირობებისა, რომელშიაც მათ უხდებათ მოღვაწეობა. უსახსრობა, უფულობა—აი უმთავრესი დამაბრკოლებელი მიზეზი, რომელიც ხელფეხს უბორკავს სამეურნეო ორგანოებს მათ მოქმედებაში. მიუხედავათ ყველა გარემოებისა, სრულიად არ ჩანს გულგატეხილობა და იმედის გაცრუება; პირიქით, საერთო მოვლენაა აღფრთოვანება და საქმის სიყვარულით გატაცება.

მარტო ამით აიხსნება, რომ მიუხედავათ ყოველგვარი მძიმე პირობებისა, სახალხო მეურნეობის საბჭომ პროფკავშირების შემწეობით შესძლო გადაერჩინა ჩვენი წარმოება ნგრევისა და დარღვევისაგან; ზოგიერთ დარგებში აშკარათ დაეტყო შრომის ნაყოფიერების ზრდა, რომელმაც ბევრ ადგილას არამც თუ მიაღწია ომამდე არსებულ ნორმას, არამედ კიდევაც გადააჭარბა მას. ეს აშკარა მაჩვენებელია მისი, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი შეგნებულათ უდიდეს მსხვერპლს იღებს პროლეტარიატის დიქტატურის განსამტკიცებლათ და მისი ეკონომიური ძლიერების შესაქმნელათ.

აშკარაა, რომ თუ ჩვენი სახალხო მეურნეობის მსვლელობა წავიდა წინ აღნიშნული ტემპით, თუ მან საერთოთ, წარმოების ყველა დარგებში, მიაღწია ომამდე არსებულ ნორმას, ეს დასაწყისი იქნება შრომის ფრონტზე გამარჯვებისა, ეს მომასწავებელი იქნება იმისი, რომ განთავისუფლებულ შრომას წინ უძლება ჯერ არ—ნახული შესაძლებლობანი საოცრებრივი შემოქმედებისა.

ყრილობამ შესაფერათ შეაფასა ეს შედეგები და დაისახა იგინი თავის გასასვლელ წერტილათ მომავალ მოქმედებაში. ყოველი დარგი იმ გვარათ უნდა იყოს მოწყობილი, რომ მას წარმოებას ზარალი არ მოჰქონდეს სახელმწიფოსთვის. ამავე დროს ყოველი ღონე უნდა იქნეს მიღებული, რომ საერთოთ მიღწეულ იქნას შრომის ნაყოფიერების ზრდა ომამდე არსებულ ნორმამდე; ამ მიზნით ყრილობამ წამოაყენა პრინციპიალური საკითხი მრეწველობის კომერციულ ნიადაგზე დაყენებისა. ყველა ამის შემდეგ ყრილობამ გაითვალისწინა უახლოესი მომავლის გეგმაც.

ამ გეგმას ახასიათებს მისი რეალობა, მისი სინამდვილეთ ქცევის ადვილი შესაძლებლობა. ამავე დროს ეს გეგმა საკმაოდ დიდი და მომხიბლავია და სავსებით შეუძლია ჩანთქას ათასობით ხალხის გაწვერგუბული შრომა და ენერგია. თანახმათ ახალი ეკონომიური კურსისა, ამ გეგმაში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სოფლის მეურნეობის აღდგენას და აყვავებას, რადგანაც მსხვილი მრეწველობისთვის, საბჭოთა აღმშენებლობის ამ უმთავრესი საფუძვლისთვის, ის წარმოადგენს აუცილებელ სასურსათო წყაროს. მთელი რიგი არხები, რომლებიც მორწყავენ ათიათასობით დესეტინა მიწას, ყოველგვარი სტრატეგიული და ეკონომიური გზები, რომლებიც შეაერთებენ პროვინციებს ერთმანეთთან და პროვინციებს ცენტრთან—წარმოადგენენ გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს. საყურადღებოა აქ ის, რომ ეს სამუშაო უნდა შესრულდეს ადგილობრივ ძალთა ფართე მონაწილეობით და მცხოვრებთა პირდაპირი დაინტერესებით.

დაახლოვებით ასეთივე ხასიათისაა გეგმაში აღნიშნული სხვა სამუშაოებიც, რომელთა რეალობა და იმავე დროს უდიდესი მნიშვნელობა ეჭვს გარეშეა.

ვუსურვოთ ჩვენი სამეურნეო ფრონტის მუშაკთ სრული გამარჯვება.

მეტი ყურადღება პროვინციას

I.

ამ დღეებში კიდევ მომიხდა პროვინციაში ყოფნა. პროვინციაში ყოფნა და იქაური ცხოვრების დათვალიერება დიდ მასალას იძლევა. ეს მასალა უნდა აიწონ-დაიწონოს, დაფასდეს და შემდეგ გამოყენებულ იქნას.

ჩვენ თვალწინ ხდება საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების გარდაქმნის დიდი პროცესი. ესაა ახალი ცხოვრების შექმნა, დიდი აღმშენებლობითი მუშაობა, რამდენათაც არ უნდა ეცადოთ ამ მუშაობის ერთ დარაჯაკში ჩამოყალიბებას, ერთ ვიწრო კალაპოტში მოქცევა შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ძირითად დეკრეტებს და ინსტრუქციებს დიდი მნიშვნელობა აქვს; მაგრამ თვით დათავი საქმე იმათი ცხოვრებაში გატარებაა, და ეს გატარება კი აუცილებლათ უნდა მოხდეს და ხდება კიდევაც ცოცხალი ადამიანების საშუალებით. ამათ კი, რა თქმა უნდა, ერთი თავი არ აბიათ: ისინი ფიქრობენ, აზროვნებენ და, მაშასადამე, მოქმედებენ კიდეც სხვა და სხვა ნაირათ, იმათ არ აქვთ ერთნაირი სწავლა და ცოდნა, ერთნაირი გამოცდილება, ერთნაირი დისციპლინა. ამიტომ ზოგს ერთნაირათ ესმის ესა თუ ის დეკრეტი ან კანონი, ზოგს სხვანაირათ. ერთი უწევს რაიმე ანგარიშს გამოცემულ კანონს, მეორე მას არაფრათ აგდებს და მოქმედებს თავისი ნების მიხედვით. აქედან ხდება ის, რომ ერთ ადგილას, ავათ თუ კარგათ, ასრულებენ საბჭოთა მთავრობის მიერ გამოცემულ კანონებს და საერთოთ იქცევა ან საბჭოთა ხელისუფლების კანონიერების აზრის თანახმათ, მეორე ადგილას კი ამ კანონებს ამახინჯებენ, უკუღმა იგებენ; მესამე ადგილას კი დიდ სრული უმოქმედობაა, არც ავი კეთდება რამე და არც კარგი, რაღაცას ან ვიღაცას ელოდებიან.

ასეთი მდგომარეობით სარგებლობენ საბჭოთა ხელისუფლების ყველა ჩუმი თუ აშკარა მტრები, რომლებიც ხელის შეშლით ან უმოქმედობით აფერხებენ და კლავენ მუშების და გლეხების საქმეს. ხშირათ ეს ვაჟბატონები სრულებით დაუსჯელათ გრძნობენ თავს და გარშემორტყმულ ხალხს პირდაპირ შიშის ზარს სცემენ, რითაც, სხვათაშორის, სახელს უტეხენ საერთოთ საბჭოთა ხელისუფლებას. და წარმოიდგინეთ, რომ ამას ჩადის ხშირათ არა დიდ თანამდებობაზე დაყენებული ადამიანი, არამედ უბრალო მოხელეც კი. ერთ ასეთ შემთხვევას წავაწყდით სხვათაშორის სოფ. ჩაქვში (აჭარისტანში). ამ სოფელში იმყოფება დიდი სახალხო მამული—ჩაის პლანტაცია. შედარებით ეს დიდი წარმოებაა რომელშიაც მუდმივათ 200 კაცი მუშაობს, ხოლო ჩაის დაკრეფის ან ჩაის ბუჩქის გასხვლის დროს მუშების რიცხვი აღწევს 500—800 მდე. ავათმყოფებისთვის იქ არის ცალკე ექიმი, ფერშალი და აფთიაქი. სამწუხაროთ წოლიარე ავათმყოფებისთვის იქ [illegible] თავშესაფარი არ ყოფილა. ავათმყოფობა კი მეტათ გახშირებულია, განსაკუთრებით ციებ-ცხელება. ახლა მიღებულია ზომები, რომ იქ მოეწყოს 3 ტახტიანი საავათმყოფოც. მაგრამ საქმე ამაში როდია.

დაახლოვებით ამ ერთი თვის წინეთ ჩაქვის აფთიაქის გამგეთ სამკურნალო და სანიტარული პროფ. კავშირის ბათომის განყოფილებას დაუნიშნავს ვინმე ზახაროვი. ამ ვაჟბატონს წარმოუდგენია, რომ რადგან ის გამგეა, მას შეუძლია ისე მოიქცეს, როგორც მას მოეპრიანება. ჩაქვის მამულში მისთვის ბინა მიუციათ, მაგრამ მას უმჯობინებია ბათომში ცხოვრება, და თუმც ბათომიდან ჩაქვამდის ყოველ დილაობით დადის მუშის მატარებელი, ეს სრულებითაც არ თვლიდა საჭიროთ ამ მატარებლით იმგზავროსაც. გადიოდა დღეები და კვირეები რომ ბ-ნი ზახაროვი აფთიაქში არ ჩნდებოდა. და აფთიაქის მუშაობა შეჩერებული იყო. თქვენ წარმოიდგინეთ, თუ რა უხერხულ მდგომარეობაში იქნებოდა ჩაყენებული ადგილობრივი ექიმი. რაც შეეხება ავათმყოფებს, ამათი მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. მე თვითონაც გავხდი მოწმე იმის, რომ საბრალო ავათმყოფები რეცეპტებით ხელში იქვე ეყარნენ და ამაოთ ელოდებოდნენ აფთიაქის გამგის მოსვლას. ის კი ბათომში ბრძანდებოდა. არავითარი თხოვნა და მუდარა არც მამულის ადმინისტრაციის, არც ექიმის ამ ვაჟბატონზე არ სჭრიდა; ის თვლიდა თავის თავს დანიშნულათ პროფ. კავშირისაგან, არავის სხვას ანგარიშს არ უწევდა. ეს ვაჟბატონი სჩადიოდა უსასტიკეს დანაშაულს. ამას ბოლო უნდა მოეღებოდა. გაცემულ იქნა ბრძანება დაუყონებლივ ამ ვაჟბატონის დასაპატიმრებლათ და სამართალში მისაცემათ, რაც უკვე სისრულეში მოყვანილი. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, დააფიქრებს სხვა ამხანაგებსაც, რომლებიც განზრახ აფერხებენ და აფუჭებენ საზოგადო საქმეს, რომლებიც არა თუ ხელს უშლიან, არამედ არღვევენ წარმოებას.

მაგრამ აქ საყურადღებო და დამაფიქრებელია მეორე გარემოება. საბჭოთა კონსტიტუციას, საბჭოთა კანონებს ხშირათ საბჭოთა წყობილების დაუძინებელი მტრები იყენებენ თავის სასარგებლოთ და მუშების და გლეხების სახელმწიფოს წინააღმდეგ. ავიღოთ, მაგ., პროფ. კავშირები. არავისთვის დასამალავი არ არის ის გარემოება, რომ ამ კავშირებში, ე. ი. იმათ ცენტრალურ კომიტეტებში, გამგეობებში ბოლშევიკებთან ერთად [illegible] ელემენტები, რომელთაც აინტერესებთ არა საქმის სასურველით წაყვანა, არა წარმოების წინ წაწევა და გაუმჯობესობა, არამედ პირადი სარგებლობა. ეს კიდევ არაფერი. არის შემთხვევა, პროფ. კავშირების ცენტრალურ კომიტეტებში მოკალათებული ელემენტები პირდაპირ ბოროტათ იყენებენ საბჭოთა კონსტიტუციის მიერ მინიჭებულ უფლებებს. ისინი არა თუ არ იღებენ ზომებს წარმოების ასაღორძინებლათ და შრომის დისციპლინის დასადგენათ, არამედ ცდილობენ ხელის შეშლას. თავის თავად იგულისხმება, რომ მე ამით არ მინდა იმის თქმა, რომ ასე იქცევა ყველა ცენტრალური კომიტეტები და გამგეობები. მე ვიცი, რომ არის შემთხვევები, როცა მუშათა პროფ. კავშირების გამგეობანი მართლაც სათავეში უდგანან საქმეს და პირნათლათ, სინდისიერათ ასრულებენ თავის მოვალეობას. მაგრამ არის ისეთი კავშირები, რომელთა გამგეობანი საქმეს აფერხებენ, შლიან, აფუჭებენ. ამის წინააღმდეგ აუცილებლათ უნდა იქნას მიღებული რაიმე ზომები. უწინარეს ყოვლისა ამ გარემოებას უნდა მიექცეს შესაფერი ყურადღება თვით პროფ. კავშირებისაგან, და უპირველესათ ცენტრალურმა საბჭომ უნდა მიიღოს სასწრაფო ზომები იმის გამოსარკვევათ, თუ რას აკეთებენ ადგილობრივ კავშირების კომიტეტები და გამგეობები, უნდა გამოარკვიონ, თუ რაში გამოიხატება იმათი მუშაობა, შველიან თუ არა ისინი საქმეს, უწყობენ თუ არა ხელს წარმოების განვითარებას, ზრუნავენ თუ არა შრომის დისციპლინის აღდგენისათვის. მაშინ მოისპობა ან შემცირდება მაინც ისეთი შემთხვევების რიცხვი, რომელთაც ადგილი ქონდა ჩაქვის აფთიაქში, სადაც პროფ. კავშირის მიერ დანიშნული პროვიზორი არა თუ გაურბოდა თავის პირდაპირ მოვალეობის ასრულებას, არამედ პირდაპირ ფეხ ქვეშ თელავდა ყოველგვარ ადამიანურ უფლებას, რომელიც, ეფარებოდა რა პროფ. კავშირის სახელს, ჩადიოდა სისაძაგლეს, უსინდისობას და უსასტიკეს დანაშაულს. პროფ. კავშირების გამგეობანი ვალდებული არიან მიაქციონ ამ გარემოებას შესაფერი ყურადღება, რომ თითონ არ იქნენ მიცემულნი სამართალში, მაგავსათ ჩაქვის აფთიაქის გამგის ზახაროვისა.

ფ. მახარაძე.

საქართველოს მრეწველობის მთავარი დარგების მდგომარეობის შესახებ

III

ლითონის დამამუშავებელი მრეწველობა საქართველოში იმდენად არ განვითარებულა, რომ ღირდეს მასზე განსაკუთრებული ყურადღების შეჩერება.

აქ მე არ ვეხები სატყეო მრეწველობას, პირველი, იმიტომ, რომ ამისათვის საჭირო იქნებოდა ცალკე მოხსენების დაწერა და, მეორე, ახლა სატყეო კომიტეტი თბილისისათვის შეშის და რკინისგზებისათვის შპალების დამზადებაშია გართული. მან თავისი სამუშაო გადაიტანა მრავალ რაიონში, და ყველაფერი მუშაობის პროცესში იმყოფება.

რაც შეეხება ხის დამმუშავებელ დარგს, უნდა აღინიშნოს, რომ სატყეო მასალა ტყის რაიონებიდან რკინის გზის ხაზზე არ არის გამოტანილი, ხის მხერხავ ქარხნების უმრავლესობა გაჩერებულია. დანარჩენ წარმოებიდან შეიძლება მოვიხსენიოთ ყოფ. ბოსტოვოის ხის დამმუშავებელი სახელოსნო და ვენის ავეჯეულობის ფაბრიკა. არც ერთი, არც მეორე არ შეიძლება იყვნენ მასსიური წარმოების [illegible]. ხის სახერხავი ქარხნები მენშევიკების დროს ნამდვილ აკლდამას წარმოადგენდნენ. მრავალი მათგანი ორ წელიწადზე მეტი არ მუშაობდა. ჩვენ უკვე ვაგვარებთ ზოგიერთ მათგანს.

რომ დავასრულოთ საქართველოს მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობის მეტად მოკლე მიმოხილვა, დაგვრჩენია მოვიხსენიოთ აგურ. კრამიტის ქარხნები.

სახელმწიფო შენობათა კომიტეტმა მოაწყო დუღაბის, გაჯის, ცარცის, აგურის, კრამიტის და ჭურჭლეულის წარმოება. დუღაბი მზადდებოდა სად. მილითსა და ქუთაისში. 1 სექტემბრამდე მიღებულ იქნა 24.000 მდე ფუთი დუღაბი, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოებრივ დაწესებულებებს ხმარდება. გაჯი დამზადებულ იქნა 15.000 ფუთამდე. ცარცის წარმოება მხოლოდ ახლახან მოეწყო. უახლოეს მომავალში გამოშვებული იქნება დამზადებული პროდუქტი, რომელსაც წინედ რუსეთიდან ვღებულობდით. მრავალ წარმავალ გარემოებათა გამო, ძნელი აღმოჩნდა კრამიტის წარმოების მოწყობა. თბილისში შესძლეს წარმოების მოგვარება მხოლოდ ორ ქარხანაში, სადაც დამზადებულია ალიზი 200.000 აგურამდე.

კრამიტის წარმოება ანდრეოლეტის ქარხანაში, მისი ნაციონალიზაციის საკითხის გამოურკვევლობის გამო, ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ს. მ. ს. საბჭომ უკვე გამართა ანდრეოლეტთან მოლაპარაკება თავისი აქციების გაყიდვის შესახებ, რის შემდეგ ქარხანა საბოლოოდ გადავა სახ. აღმშ. კომიტეტის განკარგულებაში, და ქარხნის საუცხოვო მოწყობილობა საშუალებას მოგვცემს წარმოება გავადიდოთ.

მუშაობა ქარხანაში ასეთია:

კრამიტი მარცვლისა იანვარში—81.522 ცალი, თებერვალში—86 992, მარტში—60 723, აპრილში—52.508, მაისში—, ივნისში—34.441, ივლისში—52.766, აგვისტოში—31.333 ც.

მუშების რიცხვი: იანვარში—199, თებერვალში—185, მარტში—187, აპრილში—182, მაისში—186, ივნისში—189, ივლისში—164, აგვისტოში—171.

„ფაიანსი"-ს ქარხანაში, რომელიც ს. მ. ს. საბჭოს გამგებლობაში გადმოვიდა, მოწყობილია ჭურჭლეულის წარმოება. 28 მუშის საშუალებით 26 ივნისიდან 1 სექტემბრამდე ქარხანაში დამზადებულია 6500 ცალამდე სხვადასხვა ჭურჭელი.

სახელმწიფო აღმშენებლობის განყოფილებათა შორის განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია „ჰიდრომშენება". მიმდინარე წლის გვალვამ და მომავალშიც უწყლოდ დარჩენის საშიშროებამ გლეხობაში იშვიათი ერთსულოვნობა და თავისი მინდვრების მორწყვის მძლავრი სურვილი გამოიწვია. მრავალრიცხოვანი დეპეშები და დელეგატები პროვინციიდან ჩვენს მხოლოდ ერთს გვეუბნებოდნენ: „გამოგვიგზავნეთ ტექნიკოსები, ჩვენ მოგცემთ ხალხს, მოგცემთ ტრანსპორტს, მოგცემთ სურსათს, მხოლოდ დაგვეხმარეთ სარწყავ არხების გაყვანაში". უდიდესი იყო გლეხების აღფრთოვანება, როცა ადგილობრივ ტექნიკოსი ჩავიდოდა. სარწყავ სამუშაოს საფუძველი ჩაეყარა დასავლეთ საქართველოში მდ. ცხენის წყალზე სოფ. მათხოჯის გლეხებმა. გლეხები მრავალი წლის განმავლობაში ეცდილნენ პროექტების განხორციელებას, რომელნიც წინედ დიდი რაოდენობით მუშავდებოდნენ და მაღლ ქვეშ განისვენებდნენ. ხოლო ჩვენს გადაწყვეტილებას სიტყვიდან საქმეზე გადასვლისა გლეხები დიდის მადლობით და აღფრთოვანებით ეგებებიან. მათმა სარწყავ მუშაობის წარმოების სურვილმა სტიქიური ხასიათი მიიღო. არაფერ მაგის მსგავს ადგილი არ ჰქონია მენშევიკების დროს, რომელნიც პროექტზე იქით არ მიდიოდნენ.

ზოგიერთი სასწრაფო სამუშაოს შესრულება, გლეხის მოუთმენლობის გამო, გვიხდება. წინასწარი პროექტების შეუდგენლადაც.

ახლა შემდეგი სამუშაოები სრულდება:

1) გრაკალ—დესის მიწების მორწყვა (2.000 დეს.) სისწრაფისა და გლეხების მოთხოვნის გამო გამოსაკვლევი და ამშენებლობითი მუშაობა ერთდროულად სწარმოებს. გლეხები სამუშაოზე ნებაყოფლობით გამოვიდნენ ამოღებულია რამოდენიმე ათეული კუბიკური საჟენი.

2) ქერელი—სკრის მიწების მორწყვა (3.000 დეს.)

დიდი სირთულისა და ტექნიკური სიძნელეთა გამო საჭიროა რაიონის წინასწარი ტექნიკური გამოკვლევა, რაც სწარმოებს, კვლევის დასრულების შემდეგ განზრახულია მუშაობას შეუდგენ.

3) დიმის, როკითის და ბაღდადის სხვა მიწების მორწყვა (2.000 დესეტინამდე).

კვლევა-ძიება მოთავდა. დაწყებულია აშენება ადგილობრივი გლეხების მიერ. ამოღებულია 500 კუბ. საჟ. მეტი მიწა. შეუდგნენ შლიუზის აშენებას.

4) მათხოჯის არხი (2,000 დეს.). მუშაობა ჯერ კიდევ აპრილში დაწყებული. მაგისტრალის გაკეთება თითქმის დამთავრებულია. ამოთხრილია 1.500 კუბ. საჟენზე მეტი მიწა. მუშაობა სწრაფად მიმდინარეობს.

5) ყულაშ-ლანჩხუთის სარწყავი სისტემა—2.500 დეს. გლეხების სურვილის მიხედვით, მთავარ არხს აფართოვებენ და აგრძელებენ ნაბოჭური—ნაჩხატაურის მიწების მოსარწყავად.

6) სოფლების: პატრიკეთი, ოფშქვაური და საქულის მორწყვა.

წარმოებს გამოკვლევა, ერთდროულად არხის გაყვანაც წარმოებს. ამოთხრილია 300 კუბ. საჟენზე მეტი მიწა.

8) ქვიტირი—მალლაკი—ფარცხანაყანევი—დიდი-ჯიხაიშის მიწების მორწყვა. (10.000 დესეტინაზე მეტი). მუშაობას აწარმოებენ გლეხები, ნებაყოფლობით. დეპეშა ქუთაისიდან 26 სექტემბრის თარიღით გვატყობინებს, რომ მუშაობას უკვე შეუდგნენ, და სამუშაოზე 500 კაცია გამოსული.

9) ლამი—მისაქციელი—წილკანის მიწების მორწყვა (2.000 დესეტინა). 18 და 19 სექტემბერს გრანდიოზული მუშაობა იქნა მოწყობილი, კომუნისტური პარტიის, წითელ არმიელების და ადგილობრივი გლეხების მონაწილეობით. ორი დღის განმავლობაში გათხრილ იქნა 400 კუბ. საჟენზე მეტი. მუშაობა გრძელდება.

გარდა ამისა, წარმოებულია მუშაობა ნაპირების გასამაგრებლად, რომელნიც წყალდიდობის დროს ახლო მდებარე მინდვრებს წალეკვას ემუქრებოდნენ: გაკეთებულია სამი ჯებირი ცხენის-წყალზე, სოფ. მათხოჯთან, გაკეთებულია 6 ქვა—წკნელის ჯებირი მდინარე ყვირილაზე, აჯამეთის არხთან.

დამზადებულია პროექტები და განხორციელებას მოელიან: ტირიფონის—ველის (30.000 დეს.), სამგორის ვაკის მდ. იორიდან, ყარაიას ველის მორწყვის პროექტი, აგრეთვე პროექტი ფოთის ჭაობის ამოსაშრობად. ყველა ჩამოთვლილი პროექტებს აქვთ უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, განსაკუთრებული ყურადღების ღირსნი არიან და გადადებას არ ითმენენ.

მრეწველობის აღსადგენად წარმოებულ სხვა სამუშაოდან უნდა აღინიშნოს მუშაობა აჭალის მინის ქარხნის გადასაკეთებლად, რომელიც (ქარხანა) მუშაობას დაიწყებს 2 კვირის შემდეგ. ბორჯომში შენდება გაზის ახალი ქარხანა.

ამ მოკლე მიმოხილვის დასასრულს უნდა ითქვას, რომ საქართველოს მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობა არ იძლევა საბუთს სინამდვილეს თვით კმაყოფილებით და არხეინად უყუროთ. საჭიროა მეტად გადამწყვეტი და ენერგიული ზომების მიღება ჩვენი მრეწველობის არა მარტო ახლანდელ დონეზე შესანარჩუნებლად, არამედ მისი გასაფართოებლადაც.

ახლა, როდესაც ჩვენ ახალ ეკონომიურ გზაზე გადავდივართ, როცა განსახელმწიფოებრივებულ მრეწველობასთან ერთად თავს ყოფს კერძო თაოსნობა: აუცილებელია გაუძლოთ კერძო კაპიტალის კონკურენციას, რომელიც (კ. კაპიტალი) უფრო მოქნილია და უფრო ეგუება სხვა და სხვა პირობებს. ჩვენი წარმოებანი, რომელნიც დღევანდლამდე ყოველგვარ სამეურნეო ანგარიშის გარეშე მოქმედებდნენ,—კომერციულ ნიადაგზე უნდა დადგნენ. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ წარმოებათა მუშაობა იმგვარი უნდა იყოს, რომ ისინი სახელმწიფოსათვის ტვირთი კი არ უნდა იყვნენ; არამედ მისი გამდიდრების წყარო და ფარავდნენ ყველა თავის საწარმოო ხარჯებს. მრეწველობის ფულის ნიშნების საკმაო რაოდენობით უზრუნველყოფის და მისთვის თავის საცვლელ კაპიტალის დაბრუნების მიზნით, საჭიროა, დაწესებულებას წარმოებისათვის მიეცეს საკუთარი წარმოების პროდუქტების თავისუფალი გამოყენების უფლება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ნახევარი წლის განმავლობაში გლეხებმა და მუშებმა იმდენი შრომა და ენერგია შესწირეს მრეწველობის აღსადგენად და სასოფლო მეურნეობის გასაფართოებლად, რომ ისინი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავენ თავის სოციალისტურ სამშობლოს მტრების მხრით ყოველგვარ თავდასხმისაგან, მათ შორის ქართველ მენშევიკებისაგანაც, რომელნიც იცავენ კაპიტალის ბატონობის და შრომის დამონების დროშას.

მ. ავაკოვი.

სრულიად რუსეთის აღმ. კომიტეტის მეოთხე სესია

საფინანსო პოლიტიკა

მოსკოვი, 9 ოქტომბერი (რადიო). საფინანსო პოლიტიკის შესახებ მოხსენებით გამოდის ფინანსთა სახალხო კომისარი კრესტინსკი. სასურსათო გადასახადის შემოღებით, როდესაც კერძო მრეწველობა იქნება და საერთოდ წარმოებს წარმოებების და დაწესებულებებისაც კი სამეურნეო წესზე დაყენება, აუცილებელი ხდება გადასახადის სისტემის აღდგენა. ეხლავე ეტყობა შეჩერება ფულის კურსის დაცემას. ჩვენ, ყოველი ზომა უნდა ვიხმაროთ შემდეგისთვის კურსის დაცემის წინააღმდეგ და უნდა ვეცადოთ მის აწევას. ჩვენ ვაჩნევთ სამეურნეო აღმშენებლობის გამაგრების, სურსათის ნაწილობრივ საქონლის გაცვლა-გამოცვლის გზით, ამოწურის და საზღვარ-გარეთიდან საქონლის შემოზიდვის შემდეგ, საქონლის საერთო რაოდენობის გადიდებას შინაურ ბაზარზე, რაც ჩვენ ფულის ფასს მაღლა სწევს.

ბრძოლა ბიუჯეტის დეფიციტის წინააღმდეგ

დიდი დეფიციტი სახელმწიფო ბიუჯეტის, რომელსაც განიცდიდა საბჭოთა ხელისუფლება, დამოკიდებული იყო: 1) დეფიციტისგან, რომელსაც იძლეოდა მრეწველობა დამყარებული შემოუსავლობაზე; 2) ფული იხარჯებოდა უეკონომიოდ, 3) თითქმის არ იყო სრულიად სახელმწიფო შემოსავალი და 4) ფულის ნიშანთა ღირებულების დაცემა, რაც იგივე პირველი მიზეზით აიხსნება. პირველი 3 მიზეზის მოშორებით ჩვენ თანდათან დავამარცხებთ მე 4 მიზეზსაც. ამისთვისაა აუცილებელი ყოველგვარ ზომების მიღება ფულის კურსის აწევისა და მისი გაუფასურების შემცირებისათვის, ეს კი შეიძლება გატარდეს გადასახადის სისტემის გზით.

სახელმწიფო შემოსავლის ზრდა

საკვირველი იქნებოდა, რომ ახლად აღმოცენებულ ფულიან ბურჟუაზიისთვის გადასახადი არ დაეწესებინათ. ეს გადასახადები პოლიტიკურად აუცილებელია და ამ გზით ჩვენი შემოსავლიანობა იზრდება. რომ ამას ნამდვილად ჩვენი ემისია შეუძლიან შეამციროს, ამტკიცებენ ჯერ კიდევ მცირე, მაგრამ დამახასიათებელი ციფრები გადასახადის შემოსავლისა უკანასკნელ 2 თვის განმავლობაში. დღევანდლამდე რკინის გზის მთელმა ქსელმა მოგვცა 60 მილიარდ მანეთზე მეტი შემოსავლისა, წყლის გზებმა კი 22 მილიარდი მანეთი. საერთოდ მიმოსვლის გზებმა მოკლე ხანში მოგვცეს 90 მილიარდი მანეთი, საფოსტო ოპერაციების შემოსავალი 31 გუბერნიაში 4 მილიარდ მანეთს უდრის, ტელეგრაფისა კი—38 მილიარდს. მოსკოვის ციფრებიც ფრიად დამახასიათებელია: სახელმწიფო სამრეწველო და საპატენტო შემოსავალმა აგვისტოში მოგვცა 9 მილიარდზე მეტი, სექტემბერში კი 8 ნახევ. მილიარდი. ბინის ფასი და ტრამვაის შეკრებილი, მთელ მოსკოვის ბიუჯეტის 25 პროც. შეადგენს. ამის შემდეგ არ შეიძლება უარვყოთ, რომ გადასახადის სისტემა ჩვენს ფინანსიურ კრიზისს ამსუბუქებს.

ადგილობრივი შემოსავალი

3 სექტემბრის დეკრეტმა, მიანიჭა მხოლოდ დამატებითი და საპროცენტო განაკვეთი განსაკუთრებულ ადგილობრივ გადასახადის სახით, ფაქტიურად, ადგილები თავის შემოსავლის უმეტეს ნაწილს ხაზინას აძლევენ. აუცილებელია ადგილებს შეძლება მიეცეთ, თავის მოთხოვნილებების ადგილობრივ შემოსავლიდან დაფარვისა. ჩვენი შემდეგი ნაბიჯი სწორედ ამ მიმართულებით უნდა იყოს გადადგმული.

მუშათა ინტერესების დაცვა

არის პოლიტიკური კამათი გადასახადის სისტემის წინააღმდეგ, რომ ვითომ ის პროლეტარიატს დაატყდება. მაგრამ ჩვენ ვატარებთ მთელ რიგ შეღავათებს, რკინის გზის, ტრამვაის და სხვათა შეღავათის მიცემის სახით, თუ მაინც დაშვებულია შეცდომა რომლის გამო პროლეტარიატი დაზარალდება, რასაკვირველია, საჭიროა დრო იმისთვის, რომ შევიტანოთ ზოგიერთი შესწორებანი.

მტკიცე ბიუჯეტი

ჩვენ ვადგენთ მტკიცე ბიუჯეტს და მას ვუთანხმებთ დასაშვებ ფულის რაოდენობას, ამ მხრით ნაბიჯი უკვე გადადგმულია, ფინანსთა სახალხო კომისრის მიერ წინადადება გაცემული 2 კვირის განმავლობაში შედგენილ იქნეს ბიუჯეტის სანიმუშო ხარჯთ-აღრიცხვა და შემოსული სასურსათო გადასახადის ღირებულება გამოანგარიშებული ბაზრის ფასების მიხედვით. მოწყობილი იქნება მუშაობა წინასწარვე განსაზღვრულ განაწილებისათვის უწყებათა შორის, გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი ფინანსიური საჭიროება, სახელმწიფო ბანკმა კი ყველა ეს უნდა მოაწესრიგოს.

სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის სესიამ დაამტკიცა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებული დეკრეტები ბანკების და სხვა ფინანსიურ ღონისძიებათა შესახებ.

წითელ რესპუბლიკებში

რ უ ს ე თ ი

სახელმწიფო ბანკის როლი.

მოსკოვი, 12 ოქტ. (რადიო). სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. შეინმა საუბარში გამოთქვა საკითხები, რომლებიც ეხებოდა სახელმწიფო ბანკის მომავალ მოქმედებას. სახელმწიფო ბანკის დაარსების საჭიროება გამომდინარეობს ახალ სამეურნეო პოლიტიკიდან, ცალკე წარმოებათა უფლებების გაფართოვებიდან, მრეწველობის მთელ რიგ დარგების ტრესტებად გადაკეთებიდან, კერძო ინიციატივის და კოოპერაციის მოქმედების გაფართოებიდან, რომლებიც გვიკარნახებს მაქსიმუმით, სესხის შეძლებას. სესხის მიცემა სამრეწველო წარმოებებზე, რომლებიც ხელს უწყობენ მრეწველობის განვითარებას, სახელმწიფო ბანკის ერთი მთავარი ამოცანათაგანია. სესხი მიეცემა ყველა წარმოებებს, რომლებმაც საქმით დაამტკიცეს თავისი წარმოებითი ნაყოფიერება, მიუხედავად ამისა ეს წარმოებანი ტრესტების ხასიათისაა და ეკუთვნის კოოპერატივებს თუ კერძო პირებს. ბანკის კომპეტენციაში შედის აგრეთვე საქონლის შეხვდა, დაგირავება და სხ. ფართო სესხი იძლევა თვალსაჩინო შედეგებს სამეურნეო აღმშენებლობის საქმეში. ბანკის მოქმედება გამოიხატება განსაკუთრებით ზოგადი ხასიათის ზომებით, რომლებიც ხელს უწყობს სამეურნეო ცხოვრების გაჯანსაღებას. [illegible] ფინანსთა სახალხო კომისარიატს. ბანკის ერთ მთავარ ამოცანათაგანია საზღვარ გარეთ საბანკო ოპერაციებისათვის საერთაშორისო მასშტაბით კავშირის დაჭერა. სახელმწიფო ბანკის მოქმედების დაწყების გამო უქმდება დეკრეტების მთელი რიგი, რომლებიც ეხება კერძო პირების სავალიუტო ოპერაციებს. სახელმწიფო ბანკი იღებს თავის თავზე საერთაშორისო მასშტაბით სავალიუტო თანხების გადაგზავნას და იძლევა მათი ხელშეუხლებლობის სრულ გარანტიას. აღმასკომის დეკრეტით სახელმწიფო ბანკის ძირითად თანხისათვის გადადებულია ორი ათასი მილიარდი მან. ბანკში სამუშაოდ მიწვეულია გამოჩენილი მოღვაწეები როგორიც არიან ხრუშჩოვი, პუტილერი და სხ.

კაპიტალიზმის სამეფოებში

საბერძნეთ-ოსმალეთის ფრონტზე.

ბერძნების უკან დახევა.

რომი, 10 ოქტომბერი (რადიო). ოსმალთა ჯარების წინსვლა წარმატებით ვითარდება. ბერძნები უკან იხევენ და გზაზე ყველაფერს ძარცვავენ.

ლონდონის პრესა იუწყება, რომ სმირნის ცნობების თანახმათ, ბერძნები იმყოფება 60 კილომეტრის მანძილზე აფიონ კარა გისარიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. პრესის ცნობით ქემალისტები არ ღებულობენ არავითარ წინადადებას შუამავლობის შესახებ მანამ, სანამ ბერძნები არ დასცლიან მცირე აზიას.

ინგლისი.

ინგლისის მრეწველობის კრიზისი.

ლონდონი. 1 ოქტომბერი. „ტაიმსი" იუწყება, სერ ბოლდვინმა თავის გამოსვლის დროს მანჩესტერში კატეგორიულად განაცხადა, რომ ინგლისის ხალხს თავზე აწევს ნახშირის და გადასახადების საშინელი რიცხვი, რომლებიც დააწვნენ ვაჭრობის და მრეწველობას. ყველა ეს საზღვარს გადაცილდა. მდგომარეობა უიმედოა.

საფრანგეთი.

ფარისევლური განცხადება.

ნაუენი. 10 ოქტომბერი (რადიო). საზღვაო ქვეითი ჯარის დათვალიერების დროს საფრანგეთის პრემიერმა, ბრიანმა საფრან. მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ, განაცხადა, რომ მისი უმთავრესი მიზანია მშვიდობიანობის დაცვა, დამყარება და საერთაშორისო პროგრესის ხელის შეწყობა.

ინდოეთი.

ბოიკოტი ინგლისელებს.

ლონდონი. 10 ოქტომბერი (რადიო). მთელ ინდოეთში გავრცელებულია მოწოდება, რომელშიაც ახალი ინდური მოძრაობის ბელადები და ხელმძღვანელები მოუწოდებენ ყველა სამოქალაქო და სამხედრო პირებს ერიდონ ინგლისის მთავრობასთან ყოველგვარ კავშირს და გამოუცხადონ ინგლისელებს ბოიკოტი.

ლატვია

მობილიზაცია ლატვიაში.

პეტროგრადი 4 ოქტ. ლატვიის დამფუძნებელმა კრებამ საჭიროდ იცნო დაუყონებლივ გამოაცხადონ 1897—1901 წლების ჯარში გაწვევა. ლიტვის სხვა და სხვა ქალაქებში ეწყობა ნაციონალისტური მიტინგები ხალხთა ლიგის დადგენილების წინააღმდეგ ვილნოს საკითხის გამო. გამოიტანეს რეზოლიუციები პოლონეთთან ყოველგვარ უნიის (კავშირის) წინააღმდეგ.

გერმანია

ხოლერა გერმანიაში.

ნაუენი. 11 ოქტ. (რადიო). კენიგსბერგში (აღმოსავლეთი პრუსია) აღნიშნულია ხოლერის სამი შემთხვევა. ხოლერით ავად გახდა ქალი, რომელმაც აცრო ხოლერის ვიბრიონებით ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტში.

მღელვარება გერმანიაში.

ნაუენი. 10 ოქტ. (რადიო). გერმანიაში ხმები გავრცელდა, რომ ერთა კავშირის გადაწყვეტილება ზემო სილეზიის საკითხის შესახებ ძალიან გერმანიისათვის საზიანო დადგენილებაა.

ამ ხმებმა გერმანიაში ძლიერი მღელვარება გამოიწვია. ამავე დროს, გერმანიის გაზეთების ცნობით, პოლონელებმა დაკარგეს ხალხთა ლიგის დასკვნისადმი ყოველივე იმედი და ემზადებიან ახალ შეიარაღებულ გამოსვლებისათვის.

გერმანიაში მღელვარების გამო, გერმანიის კანცლერმა ვირტმა გადადო პროვინციაში გამგზავრება და დაბრუნდა ბერლინში. იმ დღესვე საგარეო საქმეთა მინისტრმა როზენმა იხმო ინგლისის ელჩი, რომელიც მეორე დღეს გაემგზავრა ლონდონში.

ბერლინის პრესა იუწყება, რომ ინგლისმა პროტესტი განაცხადა ერთა ლიგის ფარულ წინადადების გამო, რომელიც გამოიმუშავა ანტანტის მთავრობამ ზემო სილეზიის საკითხის შესახებ.

ბერლინის გაფიცვის გაძლიერება.

მოსკოვი. 12 ოქტ. (რადიო). ბერლინის სასტუმროების მოსამსახურეების გაფიცვა მწვავდება. მოეწყო გაფიცულთა დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 25,000 კაცი. გაფიცულებში დიდი აღშფოთებაა ბურჟუაზიული პრესის საქციელით, რომელიც აქეზებს მცხოვრებლებს გაფიცულების წინააღმდეგ. ბევრმა წვრილმა წარმოებებმა მიიღო გაფიცულების მოთხოვნა, მსხვილები კი ჯერ არ თანხმდებიან. თუ მწარმოებლები ხუთშაბათამდი არ დაუთმობენ, გამოცხადდება საერთო გაფიცვა.

საფრანგეთ-გერმანიის დამოკიდებულება.

ნაუენი, 10 (რადიო). ხელშეკრულების თანახმად, რომელსაც ხელი მოაწერეს გერმანიის და საფრანგეთის წარმომადგენლებმა, გერმანიამ პირობა დასდო, ომისგან განადგურებული საფრანგეთის მიდამოების აღსადგენათ, 8 თვის განმავლობაში მიიტანოს 180.000 ტონი სხვადასხვა მასალა.

იმავე ხელშეკრულების თანახმად გერმანია ვალდებულია 1921 წ. 1 მაისიდან მოიტანოს სხვადასხვა მასალები საერთოდ 7 მილიარდ ოქროს მარკად ღირებული. 1925 წლის შემდეგ გერმანიას შეუძლია უარი თქვას ნედლი მასალის და ფაბრიკატების მოტანაზე თუ კი ისინი საჭირო რიცხვის 52 პროცენტს აღემატება.

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულისათვის

პროფკავშირებში.

ყველა კავშირებში ირჩევენ კომისიებს ოქტომბრის რევოლიუციის მე 4 წლის თავის დღესასწაულის მოსაწყობათ. გადაწყვეტილია დღესასწაულს მისცენ ფართო მასსიური ხასიათი. იმ დღეს მოხდება წითელ ლაშქრელთა უნივერსიტეტის და მუშათა კლუბის გახსნა. საქართველოს პ. კ. ს. წარმომადგენლად დანიშნულია ამხ. ყურულიშვილი.

—

ლიტოგრაფიის მუშაობა.

ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულისთვის მოსამზადებელ მუშაობასთან დაკავშირებით სახელმწიფო გამომცემლობაში უკვე აძლევენ სხვა და სხვა წინადადებას ნაირ ნაირ პოლიგრაფიულ მუშაობის ასრულების შესახებ, მაგრამ რადგან სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ვერ მოახერხა მუშაობის მოწყობა მესხიევის ლიტოგრაფიაში ელექტრონის ენერგიის უქონლობის გამო და რადგან მუშაობის მთელი სიმძიმე აწვება მარტო ზიხოვის სტამბას, სახელმწიფო გამომცემლობა იძულებული იქნება, თუ მომავალ კვირის განმავლობაში არ შეიკვლება პირობები, შეამოკლოს მინიმუმამდე ლიტოგრაფიული მუშაობა და შეასრულოს მხოლოდ უსაჭიროესი საქმეები.

ს უ რ ა თ ე ბ ი.

პოლიტიკურ მოღვაწე-კომუნარების სურათების გამოსაცემათ შეკვეთილია კლიშეები. ცინკოგრაფია მუშაობს ნორმალურათ და კლიშეები თავის დროზე იქნება მზათ. რაც შესაძლებელს გახდის ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის დროს გავრცელდეს პორტრეტები ამხ. ლენინისა, ლუნაჩარსკისა ფ. მახარაძისა ბ. მდივანისა, ზინოვიევისა და სხვა.

—

ქართველ მწერლებსა და მგოსნებს.

სოციალურ აღზრდის მთავარმმართველობასთან არსებულმა საბავშო წიგნების გამომცემლობის სარედაქციო კოლეგიამ დაადგინა რუსეთში ოქტომბრის რევოლიუციის 4 წლის აღსანიშნავად 7 ნოემბრისათვის გამოსცეს მორიგი ნომერი. საბავშო ჟურნალის „ნაკადულისა" და აგრეთვე დაიბეჭდოს ცალკე წიგნად, საბავშო ლექსთა კრებული. სარედაქციო კოლეგია სთხოვს ჩვენ მწერლებსა და მგოსნებს მიაწოდონ რედაქციას შესაფერი მასალა. ავტორები მიიღებენ ჰონორარს.

მისამართი: სახალხო განათლების კომისარიატი, საბავშო წიგნებისა და ჟურნალების რედაქცია, ოთახი № 5.

სარედაქციო კოლეგია.

ქ რ ო ნ ი კ ა

14 ოქტომბერი საქმიანი დღეა. შრომის სახალხო კომისარიატის და საქართველოს საპროფესიო კავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, პარასკევს, 14 ოქტომბერს, მცხეთობა—დღეს არავითარი უქმე არ არის და, მაშასადამე, ყველა დაწესებულებაში—წარმოებაში მუშაობა ამ დღისით ჩვეულებრივ უნდა წარმოებდეს.

◆ **სკოლა ყრუ-მუნჯთათვის.** სახალ. გან. კომის. სოციალურ აღზრდის განყოფილებასთან არსებულმა მცირე წლოვანთა უფლებების დამცველმა განყოფილებამ 9 ოქტომბერს გახსნა ყრუ-და მუნჯ ბავშვთათვის პირველი სკოლა, სპეციალურ შენობის უქონლობის გამო სკოლა დროებით მოთავსებულია ექიმ თამამშევის სახლში. აღზრდა და სწავლება იწარმოება ახალ სამეცნიერო მეთოდით. სკოლაში ბავშვები მიიღებიან მხოლოდ პროფკავშირების სიების მიხედვით.

◆ **პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროვინციაში მყოფ სტუდენტთა საყურადღებოდ.** მეცადინეობა ინსტიტუტში ყველა ფაკულტეტზე უკვე დაიწყო 10 ოქტომბრიდან; ამიტომ საჭიროა სტუდენტების ჩამოსვლა.

◆ **სურათების გამოფენა.** მოქანდაკეთა და მხატვართა გამოფენა გაიხსნება 7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლიუციის 4 წლის დღესასწაულის დღეს, საქართველოს მუზეუმში (რომელიც შენდება რუსთაველის ქუჩაზე), რისთვისაც სასწრაფოთ ეწყობა დარბაზები:—გამორკვეულია, რომ გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ: მხატვრები ამხ. ფოგელი, გრიხევაკი, შარშიტიანი, შარლემანი, ლანსერე, ზდანევიჩი. მოქანდაკენი: ამხ. ნიკოლაძე, სერგეევი. სურათების გამოფენა, იმედია, იქნება საინტერესო და მდიდარი.

◆ **ღვინის ვაჭრობის შესახებ.** შინაგან საქმეთა კომისარიატში მუშავდება ახალი დებულებები ღვინის ვაჭრობის შესახებ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოების პირველი ყრილობა

6 ოქტომბრის დილის სხდომა იწყება ამხ. ტოროშელიძის მოხსენებით ახლობელ წარმოებითი ამოცანების შესახებ. ახლობელ წარმოებითი ამოცანების განსაზღვრის დროს, ამბობს ამხ. ტოროშელიძე, აუცილებლად უნდა გამოვიდეთ საერთო ეკონომიურ კურსის პოლიტიკიდან, რომელიც მოითხოვს—სახალხო მეურნეობის დასაცავად სასოფლო მეურნეობის უკეთეს მხრივ დახმარებას. თუ გავითვალისწინებთ ამის რეალურ ზეგავლენას, ახლოდ მაშინ შეგვიძლია ახლობელ საწარმოო ამოცანების განსაზღვრა.

მრეწველობის დახმარება.

